ახალი გაზეთი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

28 სექტემბერი - 12 ოქტომბერი 2013 წელი №18 № 8052 ელფოსტა : AxaliGantiadi@gmail.com.

ახალი ცხოვრება წელი დაიწყო.



გილოცავთ! სასკოლო სახელმძღვანელოები საჩუქრად

გვ2-3..

ცივცხლე. ჩიომელოცავ ველოდით

საბავშვო ბაღები უფასო გახდა

გვ4.

“ახალგაზრდული თვითმმართველობა 2013”

გვ5.

ეთნოგენეტიკოსთა მეცნიერებზე ლაყრილობით

გვ5.

ჩემი სოფელი (ესეები)

გვ6.

პირველობა მინი ფეხბურთში

გვ7.



მანჯიკაძეების სახლის ეზოში მეზობლის ბიჭის ცხენი ბალახობდა ...

გვ6.

სახუროი სახელმძღვანელოები საჩუქრად



მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, ისევე როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით ახალი, 2013-2014 სასწავლო წელი 16 სექტემბერს დაიწყო...

წელს მუნიციპალიტეტის 5.400 მოსწავლემ, პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით სახელმწიფოსგან საჩუქრად მიიღო სახუროი სახელმძღვანელოები, ყველა პირველკლასელს უფასოდ გადაეცა სასწავლო პორტფოლიო ყომპიუტერი...

წელს მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი ახალი სკოლა შეემატა, კერძოდ, ხოვლეში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ორსართულიანი სკოლა.

ახალი სასწავლო წლის დაწყება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს მიულოცეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ავთანდილ გოგიაშვილმა, მისმა მოადგილემ ხათუნა თათანაშვილმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დავით ბანგურმა.

ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა სასწავლო წლის დაწყების დღე ტრადიციულად საკუთარი შემოქმედებით ზეიმით აღნიშნეს.

სასწავლო წლის დაწყება "ტაოპრივატბანკი"-ს კასპის ფილიალის თანამშრომლებმა სიმბოლური საჩუქრებით მიულოცეს ქალაქის №2 საჯარო სკოლის პირველკლასელებს. სკოლაში შექმნილია "მომავლის კლასი"- რომელიც თანამედროვე, პროგრესულ სწავლებაზეა გათვლილი.

თქვენ ხართ ქვეყნის მომავალი აღმშენებლები, თქვენ უნდა გადაიბაროთ ქვეყნის მართვის სადავეები, გახდეთ საკრებულოს მომავალი თავმჯდომარეები, მომავალი გამგებლები, რასაც მხოლოდ თავდადებული შრომით მიაღწევთ. ამისათვის კი საჭიროა თქვენგან ბევრითი სწავლა, ჩვენგან კი სწავლაში ხელშეწყობა, - აღნიშნეს თავის გამოსვლაში კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ავთანდილ გოგიაშვილმა და კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლებში მასიურად ცვლის სახურავებს, აყენებს მეტალო პლასტმასის კარ-ფანჯრებს, რათა შენობა დაცული იყოს ბუნებრივი ნალექებისა და ქარისგან. აღნიშნული სამუშაოების დამთავრების შემდეგ დაიწყება შიდა მოსაპირკეთებელი და სამღებრო სამუშაოები, მოეწყობა ფოიეები და სპორტული დარბაზები ანუ სასწავლო პირობები მეტად გაუმჯობესდება.

ხოვლეში მარტო მოსწავლეები და პედაგოგები კი არა, მთელი სოფელი, დიდი თუ პატარა სიხარულით, გამორჩეული ხალისით შეხვდა 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებას. სასიხარულო განწყობის მიზეზი ნამდვილად აქვთ ხოვლელებს.

საქმე ის გახლავთ, რომ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის ხელშეწყობითა და დახმარებით დათქმულ დროს მოხერხდა კასპის მუნიციპალიტეტის ხოვლის საჯარო სკოლის მშენებლობის დასრულება. პროექტი ითვალისწინებდა არსებული სკოლის შენობის მეორე კორპუსის სრულ დემონტაჟს და ახლის აშენებას. დიახ, აშენდა ორსართულიანი სკოლა (დირექტორი ცისანა ედიშერაშვილი), რომლის პირველ სართულზე განლაგებულია საკლასო ოთახები, აქვეა სამასწავლებლო და კლასკაბინეტები, მეორე სართულზე მოთავსებულია დირექტორის კაბინეტი და კიდევ რამდენიმე საკლასო ოთახი. მოკლედ, სკოლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 810. 610 ლარი, სკოლა გათვალისწინებულია 186 მოსწავლეზე.

ხოვლის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგებს, მშობლებს, სოფლის მოსახლეობას სასწავლო წლის

დასასრული მე-3 გვ.

სასკოლო სახელმძღვანელოები საჩუქრად

* **დასასრული**

დაწყება და ახალი სკოლის გახსნა მიულოცეს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დავით ზანგურმა.

ახალი სკოლის გალამაზებულ და კეთილმოწყობილ შესასვლელთან შეკრებილ მოსწავლეებს, მათ შორის, პირველკლასელებს დაურიგდათ სასკოლო სახელმძღვანელოები და სასწავლო პორტატული კომპიუტერები.

დღესის საჯარო სკოლის 278 მოსწავლემ, მათ შორის 19 პირველკლასელმა ზეიმით აღნიშნა 2013-2014 სასწავლო წლის დაწყება... მოსწავლეებსა და მშობლებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა და ახალი სასწავლო წელი მიულოცა სკოლის დირექტორმა იზოლდა ციცაგმა. შეკრებილთა წინაშე გამოსვლისას მან ყურადღება გაამახვილა გასული წლის შედეგებზე და აღნიშნა, რომ სკოლის სამი კურსდამთავრებული სტუდენტი გახდა, მათ შორის ერთმა 50 პროცენტიანი სახელმწიფო დაფინანსება მიიღო. სკოლა ამაყობს მეთორმეტე კლასის მოსწავლის ცირა ბეგლარაშვილის მიღწევებით, რომელმაც ჩვენი რაიონის სინამდვილეში პირველმა დასძლია და წინასწარ კომპიუტერის მეშვეობით ჩააბარა მეთორმეტე კლასის პროგრამა, ახლა მას მხოლოდ საატესტატო გამოცდების ჩაბარება მოუწევს.

წარმატებული იყო სამოქალაქო კლუბის მუშაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს მეთორმეტე კლასის მოსწავლე ანა ჭრელაშვილი, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ კლუბის მიერ მომზადებულმა პროექტმა "შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა", – რეგიონის მასშტაბით დიდი მოწონება დაიმსახურა, პროექტი დაფინანსდა 450 ამერიკული დოლარით.

სკოლის წარმატებებზე მეტყველებს აგრეთვე, საბაზო საფეხურის კურსდამთავრებულების ლევან შაქარაშვილისა და ლიკა ჯანანაშვილის მიღწევებიც, კარგი სწავლისათვის მათ ჯილდოდ მიიღეს პერსონალური კომპიუტერები.

უდიდესი ზრუნვის, მცდელობის შედეგია ის, რომ 2013-2014 სასწავლო წლისათვის მნიშვნელოვანი პრობლემა მოგვარდა, სკოლის შენობის მოძველებული სახურავი ახლით შეიცვალა, სიახლე გახლავთ ისიც, რომ სკოლისთვის დაინიშნა სამგზავრო ავტობუსი, რომელიც მოემსახურება გრაკლელ მოსწავლეებს.

ქვემო გომის, თითქმის ასწლოვან საჯარო სკოლაში ამჟამად ირიცხება 119 მოსწავლე, მათ შორის, 12 პირველკლასელი. გასულ სასწავლო წელს სკოლას ჰყავდა ათი მეთორმეტკლასელი, ხუთმა კურსდამთავრებულმა წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები, ერთმა მათგანმა მოიპოვა სახელმწიფო გრანტი.

– ამჟამად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სამივე (დაწყებით, საბაზო და საშუალო) საფეხურზე, – აცხადებს სკოლის დირექტორი თამარ მამულაშვილი, – დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა სიმცირის გამო სკოლაში დავუშვით კლასკომპლექტი /მე-2 და მე-4/. წელს მხოლოდ რვა მეთორმეტეკლასელი გვყავს.

ქვემო გომის საჯარო სკოლაში მუშაობს 22 პედაგოგი, მათგან 9 მასწავლებელს მიღებული აქვს სერთიფიკატი, სკოლას ჰყავს აგრეთვე, ორ საგანში სერთიფიცირებული (სკოლის დირექტორი თ. მამულაშვილი) პედაგოგი. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი ჩვეული შემართებით შეხვდა ახალ სასწავლო წელს.

ახალქალაქის საჯარო სკოლაში (დირექტორი ნანა სურამელი) ამჟამად ირიცხება 261 მოსწავლე, მათ შორის, 16 პირველკლასელი, რომელთაც სახელმწიფოსგან საჩუქრად გადაეცათ სასკოლო სახელმძღვანელოები და სასწავლო პორტატული კომპიუტერები.

2013-2014 სასწავლო წელს ფონდ "ათასწლეულის გამოწვევით"-დაგეგმილია სკოლის სრული რეაბილიტაცია. წელს კი, სკოლის ძალებით მოხერხდა შენობის შემინვა და მოწესრიგება, ზამთრისათვის შეშაც მოიმარაგეს. იმის გამო, რომ მეორე სასწავლო კორპუსი ავარიულ მდგომარეობაშია, დაწყებითი (პირველ-მეოთხე) კლასების მოსწავლეები ისწავლიან პირველ კორპუსში.

საგულისხმოა ისიც, რომ გასული სასწავლო წლის კურსდამთავრებულთაგან (11 მოსწავლე) რვა მოსწავლემ წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები და უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა.

სასირეთის საჯარო სკოლაში 2013-2014 სასწავლო წელი ტრადიციული ზეიმით დაიწყო... მოსწავლეებსა და პედაგოგებს განახლებული და გალამაზებული სკოლა დახვდათ. შეიცვალა სკოლის შენობის სახურავი, კარ-ფანჯარა, სარეაბილიტაციო სამუშაოები ახლაც გრძელდება.

ამჟამად სასირეთის სკოლაში ირიცხება 196 მოსწავლე, მათ შორის, 10 პირველკლასელი და 15 მეთორმეტეკლასელი, რომლებსაც გადაეცათ სასკოლო სახელმძღვანელოები და სასწავლო პორტატული კომპიუტერები.

– გასულ სასწავლო წელს სკოლა დაამთავრა 18 მოსწავლემ, ოთხი მათგანი სტუდენტი გახდა, – აცხადებს სკოლის დირექტორი ნანა ბარნაბიშვილი, – ამჯერადაც გვასახელა ჩვენმა აღზრდილმა, ეტალონელმა ბიჭიკო ქვრივიშვილმა, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები და შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, თან 70 პროცენტიანი სახელმწიფო დაფინანსებაც მიიღო.

წინ ახალი სასწავლო წელია, თავისი იმედებით, ახახდენი ოცნებებით, ბევრს გაგებისა და სწავლის აუცილებლობით. ფეხბედნიერი და ნაყოფიერი უფილიყოს 2013-14 სასწავლო წელი! გულწრფელად ვუსურვებთ მოსწავლეებს და მასწავლებლებს წარმაჯებებს.

საბავშვო ბაღები უფასო გახდა

მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №1099 განკარგულების საფუძველზე საქართველოში სექტემბრიდან საბავშვო ბაღები უფასო გახდა.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება დაფუძნებულია გამგებლის 2009 წლის 15 მაისის №252-ე ბრძანების საფუძველზე. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, აქედან 5 საბავშვო ბაგა-ბაღი მდებარეობს ქალაქში, ხოლო 20 სოფლად და არსებულ საბავშვო ბაღებში 2012-2013 წლის მონაცემებით ირიცხება 1200 აღსაზრდელი.

გასულ წლებთან შედარებით წელს გაზრდილია ბავშვთა კონტინგენტი. გაერთიანების კვლევებით სოფლად და ქალაქად 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა საერთო რაოდენობა 2234 განისაზღვრა, მაგრამ ამჟამად საბავშვო ბაგა-ბაღში დადის 1200 აღსაზრდელი, დარჩენილი ბავშვების დაკმაყოფილება ვერ ხერხდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმცირის გამო, ამიტომ შევიმუშავეთ სტრატეგია, რომელიც გაწერილია 2013-2018 წლების ჩათვლით და ითვალისწინებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ შენობებს, ინვენტარს, ფსიქოლოგისა და მეთოდისტის შტატების დაშვებას, მათი კაბინეტების სრულ აღჭურვილობას. მთავარი მიზანი გახლავთ ის, რომ ბავშვებს შეექმნათ სათანადო პირობები, როგორც სრულფასოვანი კვებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვით, ასევე დახვეწილი სააღმზრდელო პროგრამებით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უახლოეს პერსპექტივაში გათვალისწინებულია ალტერნატიული ჯგუფების შექმნა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე ადგილობრივი თვითმართველობის დახმარებით. სხვათა შორის, ასეთი გამოცდილება უკვე გვაქვს, მაგალითად, 2012 წლის მარტიდან არასამთავრობო ორგანიზაცია "კივიტას გეორგიკა"-ს ერთობლივი პროექტის დახმარებით, რომელიც ფინანსდება გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ, მუნიციპალიტეტის ორ სოფელში (მეტეხი, დოესი), გაიხსნა ორი ალტერნატიული ჯგუფი, რომელიც 2012 წლის პირველი ნოემბრიდან სრულად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ასევე მიმდინარე წლის იანვრიდან კასპის მუნიციპალიტეტმა დააფინანსა ქალაქის ორი საბავშვო ბაღი და შესაბამისად შესაძლებელი გახდა ჯგუფების დამატება. სწორედაც ჯგუფების დამატებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მოხდა შტატების გაზრდა, რამაც ხელი შეუწყო ბაღებში კონტინგენტის გაზრდას, ცხადია, ხალხიც დასაქმდა.

ჩვენს გაერთიანებაში 2012 წლის მონაცემებით თანამშრომელთა რაოდენობამ შეადგინა 227, ხოლო 2013 წლის 5 სექტემბრისათვის 258. როგორც უკვე ცნობილია, საქართველოს მთავრობის 2013 წლის აგვისტოს განკარგულებით საბავშვო ბაღები გახდა უფასო და ცხადია, მნიშვნელოვნად მოიმატა მსურველთა რაოდენობამ. ბუნებრივია, საჭირო და აუცილებელი გახდა ბიუჯეტში შესაბამისი თანხების გათვალისწინება, რათა მოხდეს სტრატეგიული გეგმის ეტაპობრივად შესრულება.

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების უკეთ შესწავლის მიზნით მიმდინარე წლის აპრილ-მაისში ჩვენს მიერ ჩატარდა ინსპექტირება და აქედან ნათლად გამოიკვეთა, თუ როგორ პირობებში უწევთ ყოფნა აღსაზრდელებსა და ბაღებში მომუშავე პერსონალს. შემოწმებით დადგინდა, რომ თითქმის ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის საყოფაცხოვრებო და სააღმზრდელო პირობები, პროგრამები დამაკმაყოფილებელია. ამ თვალსაზრისით სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს ზემო ხანდაკის საბავშვო ბაგა-ბაღი (გამგე თამარ გოგიაშვილი), ეს ის საბავშვო დაწესებულება გახლავთ ჩვენს ბაღებს შორის, რომელიც თავისი შენობითა და ინვენტარით, შესანიშნავი სააღმზრდელო პროგრამით ბევრ აღიარებულ ბაღსაც კი გაუწევს კონკურენციას.

გაერთიანებამ ინსპექტირების გარდა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბაღებში შემეცნებითი და გამოსაშვები ღონისძიებების დაგეგმვისა და ჩატარების საკითხსაც. ახლო მომავალში დაგეგმილი გვაქვს ჩასატარებელი ღონისძიებების ნუსხა, ვაპირებთ აღმზრდელების გადამზადებას, ყველა ბაღში ორგანიზებულად დარიგდება სასწავლო პროგრამები, შევუძენთ სათამაშოებსა და საჭირო ინვენტარს, პერმანენტულად გავმართავთ შეხვედრებს აღმზრდელებთან და მშობლებთან.

მიმდინარე წლის 2 სექტემბრიდან ყველა საბავშვო დაწესებულებაში განახლდა მუშაობა, გარდა ოკამის საბავშვო ბაღისა, სადაც ამჟამად სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, ჯერ-ჯერობით გამოიცვალა შენობის სახურავი, ახლა მიმდინარეობს ოთახების სარემონტო სამუშაოები. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ხორციელდება სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები ქვემო ჭალის და დოესის საბავშვო ბაღებში. სიახლეა სოფელ აღაიანშიც, სადაც უკვე აშენდა ახალი საბავშვო ბაღი და სავარაუდოდ მომავალი წლიდან დაიწყებს ფუნქციონირებას.

ხათუნა ხაჩიძე-ტყემალაძე, კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი.

მზიური ჭაღიაშვილი, №1 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე – წელს 105 აღსაზრდელი გვყავს, აქედან 33 ბავშვი გამოსაშვებ ჯგუფში ირიცხება. სხვათა შორის, დამამთავრებელ ჯგუფში ბავშვის მიყვანას თავად მშობელი წყვეტს. მოგეხსენებათ, რომ ეს საკითხი ძალიან პირადული, მეტიც, ინდივიდუალურია, ვინაიდან ხუთი წლის ბავშვის გამოსაშვებ ჯგუფში მიყვანას ერთგვარი რისკიც კი ახლავს. დამეთანხმებით, ამ ასაკში, ერთ წელს, ბავშვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ მშობელს ვერ დააძალებ ხუთი წლის ბავშვი ატაროს გამოსაშვებ ჯგუფში, რადგან მას წინ კიდევ ერთი წელი აქვს, რათა ბავშვი სათანადოდ მოემზადოს, ჩამოყალიბდეს სკოლაში წასასვლელად.

თამარ ხოკრიშვილი, №2 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე – წელს გვყავს 180 აღსაზრდელი, აქედან 40 გამოსაშვებ ჯგუფში ირიცხება. მათი უმრავლესობა ხუთი წლისაა, არის მხოლოდ რამდენიმე ხუთწლინახევრის. პირადად მე, რატომღაც მეჩვენება, რომ ერთი მასწავლებელი ორმოც ბავშვს ძნელად "მოიგერიებს", უფრო მეტიც, ვერ მოახერხებს მაქსიმალური ძალისხმევის მობილიზებას. იქნებ, შესაძლებელია, რომ შეიქმნას დამატებითი ჯგუფი, რაც იმის გარანტი გახდება, მასწავლებელმა ბავშვებზე თანაბრად გადაანაწილოს ყურადღება.

ლალი მილაძე, №5 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე – წელს ჩვენ გვყავს 130 აღსაზრდელი, აქედან 40 ბავშვი გამოსაშვებ ჯგუფში ირიცხება. ვფიქრობთ, რომ წელსაც კარგი ნაკადი გვეყოლება. ამას იმიტომ გპირდებით, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები ძირითადად მეორესკოლელები ხდებიან და თქვენ წარმოიდგინეთ, ყოველწლიურად მოგვდის მოთხოვნა მეორე სკოლის დირექციიდან. ასეთი თანამშრომლობა და კოლეგიალური კონტაქტი, რასაკვირველია, ყველასათვის სასარგებლო და სიკეთის მომტანია.

თეა ქუტაშვილი, №3 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე – ჩვენს ბაღს წელს ჰყავს 110 აღსაზრდელი, აქედან 44 გამოსაშვებ ჯგუფში ირიცხება. სხვათა შორის, ისიც აღმოვაჩინე, რომ ყველა მშობელს სურს მისი შვილი იყოს ლია აფციაურის (მასწავლებელი) ჯგუფში. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ იგი ზედმიწევნით მცოდნე, გულისხმიერი და სანდოა, როგორც მშობლისათვის, ასევე ბავშვისათვის. თუმცა, მინდა ყველა დავარწმუნო, რომ მესამე ბაღის ყველა მასწავლებელი თავისი საქმის მცოდნეა.

დალი კოტეტიშვილი, №4 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე – ოთხი ათეული წელია ამ სისტემაში ვმუშაობ, წელს 36-ე გამოშვებას აღვნიშნავთ... ამჟამად ბაღში გვყავს 90 აღსაზრდელი და აქედან 33 ბავშვი გამოსაშვებ ჯგუფში ირიცხება. მუშაობას ჩვეული შემართებით შევუდექით. წლების განმავლობაში მიღებულმა გამოცდილებამ, პროფესიულმა გამჭრიახობამ დამარწმუნა იმაში, რომ შექმნილი სირთულიდან გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება, საჭიროა დიდი მონდომება, პასუხისმგებლობა და სიფხიზლე, წარმატების იმედი ყოველთვის მაქვს, მიმართლებს კიდეც, იმიტომ, რომ ჩვენი ბაღის მასწავლებლებს საკმაო გამოცდილება აქვთ და არც პროფესიული ალღო აკლიათ.

ეთნოგრაფიული მხარეებზე ლაყრილობით

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა სამეცნიერო სესია, რომელსაც ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების მუშაკები, კულტურის, განათლების წარმომადგენლები, პედაგოგები და მოსწავლეები, ახალგაზრდები.

სესიაზე განიხილეს შემდეგი თემები: "შუბათი," ნასოფლარის ისტორია /მომხსენებელი ლ. თათრიშვილი/, "გაიშვიათებული სიტყვა-თქმები ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით," /მომხსენებელი ლ. ბალხამიშვილი/, "ქვემო ჭალის გამოჩენილი ადამიანები," /მომხსენებელი თ. მაისურაძე/.

ღონისძიების ორგანიზატორები: მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება /დირექტორი გივი მელაძე/ და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი /დირექტორი გიორგი ჩადუნელი/.

– ანალოგიური ხასიათის სამეცნიერო სესიები უდავოდ საგულისხმო სამსახურს გაუწევს ჩვენს მოსწავლე-ახალგაზრდობას და არა მხოლოდ მათ, – განაცხადა სესიაზე სიტყვით გამოსვლისას კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, – ვფიქრობთ, სწორედ ასეთ შეხვედრებზე, კიდევ ერთხელ ექცევა ყურადღების ცენტრში ჩვენი ისტორია, კიდევ ერთხელ ვეცნობით და ვაანალიზებთ სახელოვან ერისკაცთა ცხოვრებასა და ღვაწლს, ჩვენს სახელოვან წარსულს, ამიტომ მუზეუმების მუშაობის ეს ფორმა კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და მასშტაბური ხასიათი მიიღოს, ვგულისხმობ მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობასა და მონაწილეობას.

სესიაზე განხილული თემების ირგვლივ მოსაზრებები გამოთქვეს დამსწრე პედაგოგებმა და ახალგაზრდებმა, მოწვეულმა სტუმრებმა. ღონისძიების ბოლოს შეკრებილ საზოგადოებას თანამშრომლობისათვის გულითადი მადლობა გადაუხადა მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის კასპის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლები.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

"ახალგაზრდული თვითმმართველობა 2013"

კასპში ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაცია (თავმჯდომარე გიორგი ჭულუხაძე, აღმასრულებელი დირექტორი ნიკოლოზ მაღალდაძე, აღმასრულებელი მდივანი დავით ბულაძე)– "ადამიანი, კანონი, თავისუფლება", რომლის წარმომადგენლებმა პროგრამის ფარგლებში "ახალგაზრდული თვითმმართველობა 2013," – ჩამოაყალიბეს კასპის მუნიციპალიტეტის "ახალგაზრდული საკრებულო". მუშაობის პირველი ეტაპი მოიცავდა ტესტირებას, კითხვები შედგენილი იყო საქართველოს კონსტიტუციიდან, საქართველოს საარჩევნო კოდექსიდან და აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობების კანონიდან. ამდენად, ტესტირებისა და გასაუბრების შედეგად შერჩეულმა "ახალგაზრდული საკრებულოს" წევრებმა /ახალგაზრდები 27 წლის ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით/ გიორგი ბერიანიძემ, გიორგი კაჭიურმა, რობერტ კავთიაშვილმა, მამუკა პაპაშვილმა და ილია ბერიანიძემ ახლახან გამართულ პრეზენტაციაზე წარმოადგინეს ინდივიდუალურად შემუშავებული პროექტები. ნიშანდობლივი გახლავთ ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთი პროექტის წარმომდგენი უნდა გამხდარიყო "ახალგაზრდული საკრებულოს" თავმჯდომარე. არჩევნები გაიმართა ფარული კენჭის ყრით, თავმჯდომარედ არჩეულია მამუკა პაპაშვილი.

"ახალგაზრდული საკრებულო" იმუშავებს სხვადასხვა პროექტზე, რომელიც ორიენტირებული იქნება უშუალოდ რაიონზე. პროექტი ხორციელდება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს

და სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერ. პროექტის ხელშემწყობია კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

– კასპი მესამე ქალაქი გახლავთ გორის და მარნეულის შემდეგ, სადაც შეიქმნა "ახალგაზრდული საკრებულო", – განმარტავს არასამთავრობოს წარმომადგენელი გიორგი ჭულუხაძე, – იმედია, ეს ახალგაზრდები სასარგებლო პროექტებს განახორციელებენ, ჩვენ კი, ყველანაირად დავეხმარებით მათ, პირველ რიგში დავაწესებთ მონიტორინგს, ხელს შევუწყობთ მუშაობაში.

ღონისძიებას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ხათუნა თათანაშვილი, რომელმაც დადებითად შეაფასა არასამთავრობოებისა და ახალგაზრდების ერთობლივი მუშაობა.

კასპის განვითარების ცენტრი

კასპში კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია დაფუძნდა. "კასპის განვითარების ცენტრი" მოსახლეობას გაუწევს უფასო იურიდიულ მომსახურებას, დაეხმარებიან სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, მონიტორინგს გაუწევენ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს და აქტიურად იქნებიან ჩართული მუნიციპალიტეტის პრობლემების სამართლებრივად გადაწყვეტის საკითხებში. ორგანიზაცია დააკვირდება საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების კანონიერებას. .

არასამთავრობო ორგანიზაცია "კასპის განვითარების ცენტრი-"ს დამფუძნებლები არიან იურისტი, სამართალმცოდნე, ადვოკატი გელა მერებაშვილი, გიორგი ალიმბარაშვილი და რევაზ მერებაშვილი. ორგანიზაციის მისამართია: ქ. კასპი, კონსტიტუციის ქ. №1.

მანჯიკაშვილების სახლის ეზოში მეზობლის ბიჭის ცხენი ბალახობდა ...

ქვემოჭალელი მანჯიკაშვილების ოჯახიდან ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ორმა ომმა: ერთმა, მეორე-მესამე ათასწლეულის მიჯნამდე რვა წლით ადრე მომხდარმა – შვილისა; მეორემ, ასევე, რვა წლის შემდეგ ატეხილმა – მამისა...

წლევანდელ 30 აპრილს ავედით გორაკაში (ქვემო ჭალაზე მიბმული პატარა სოფელია და ადგილმდებარეობის გამო ზედმიწევნით ზუსტად დანათვლია სახელი) და კითხვა-კითხვით მივაგენით ამ ოჯახს, სადაც ახლა მხოლოდ ერთი მოხუცი ქალი დაფარფატებს და უსაზღვროდ ტკივილიანი ფიქრებით გაჯერებული სახლისა და ეზოს მარტოხელა მობინადრეა – ისაა დიასახლისიც, პატრონიც, კერიისათვის სულის ჩამბერიც, საკუთარ თავთან მოსაუბრეც, ორიოდე კრუხ-წიწილის მიმხედავიც, ვაჟიშვილისა და მეუღლის ხსოვნის შემნახავიცა და გამაფრთხილებელიც ... ისე მოხდა, რომ ჩვენი მისვლის დღე ზურაბის დაბადების თარიღს დაემთხვა და საცოდავი დედა ამან უფრო ააცრემლა და ააღელვა: – თქვენ რა იცოდით, შვილებო, დღეს რომ ჩემი ზურაბის დაბადების დღე იყოო, მე აღარც კი მახსოვდაო, თქვენ როგორ გაგახსენდათო...

ვლადიმერ მანჯიკაშვილმა და მისმა მეუღლემ, ვარამ (ახალგორელი ქენქაძის ქალმა), ოჯახური უღელი ორმოცდაათი წელი ერთად ატარეს და სამი შვილი გაზარდეს. ქალიშვილი, მარინე, საკუთარი ოჯახის პატრონია და უკვე ორ შვილიშვილს ზრდის. უფროსი ვაჟიშვილი, ავთანდილი, ამჟამად საფრანგეთში (სტრასბურგში) ცხოვრობს, დროების მდინარებამ გადახვეწა ევროპაში, პარიზში საქართველოს საელჩოში მძღოლად მუშაობდა ყოფილ ელჩთან ლანა ღოღობერიძესთან და ახლა, შინ დაბრუნებამდე, დედას მხოლოდ ტელეფონით თუ შემოეხმიანება ხოლმე...



ზურაბი მესამე იყო – ოჯახის, დედ-მამის დიდი იმედი და ნათელი სხივი სამომავლოდ. დაიბადა 1972 წლის 30 აპრილს. ქვემო ჭალის საშუალო სკოლის დამთავრების (1988 წ.) შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის №6 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. ორიოდე წელში საქართველოს ეროვნული გვარდიის რიგებში გაიწვიეს. ფიზიკურად ძლიერი ჭაბუკი სპეცდანიშნულების ბატალიონში მსახურობდა.

... ქალბატონი ვარა ტირილნარევი ხმით გვიამბობს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ერთგული ჯარისკაცი, როგორც 20-მეთაური, ბუნკერში ჩაჰყვა მას და თერთმეტი დღე გაატარა ისე, რომ შინაურებმა მისი ბედ-იღბლისა არაფერი იცოდნენ, შემდეგ მალულად გამოსვლა მოახერხა და ის ღამე დის ოჯახში გაატარა... 1992 წლიდან კასპის გვარდიულ ბატალიონში ჩაირიცხა... 27 სექტემბერს სოფელ ტამიშთან ვაჟკაცურად დაიღუპა თანარაიონელ (აღაიანელ) მორის მუხათგვერდელთან ერთად... მოგვიანებით ორივე დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით... მაშინ არავინ უწყოდა, რომ ზუსტად ერთი წლის შემდეგ ეს თარიღი საბედისწეროდ დაფიქსირდებოდა და დამარცხებასთან ასოცირდებოდა...

1992 წლის ოქტომბრის დასაწყისში სოფელ ქვემო ჭალის ჯვარის ტყის სასაფლაოზე ამოიბორცვა იმ ომში დაღუპული აქაური მეორე ჯარისკაცის საფლავის მიწაყრილი. მანამდე, სამიოდე თვით ადრე, სოფელმა დაიტირა სამაჩაბლოში დაღუპული გვარდიელი ბესიკ ოთარაშვილი... სამწუხაროდ, ქვემო ჭალიდან იმ ერთ წელიწადში ქვეყნისათვის თავდადებულ ვაჟკაცთა სახელებს კიდევ ორი ვაჟკაცის ვინაობა შეემატებოდა – მერაბ გეთაშვილისა და ზურაბ ნაცვლიშვილისა.

... 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში შეწყდა უფროსი მანჯიკაშვილის გულისძგერა: 75 წლის ვლადიმერს კვლავ გაუახლდა ის დიდი გულისტკივილი, აფხაზეთის ომმა რომ დაუტოვა. ახლა შვილიშვილებზე დარდი აწუხებდა, რუსებმა ისინიც არ გამოგვაცალონო ხელიდან, პურისჭამისას ცრემლში დამბალი ლუკმა აღარ გადასდიოდა ბურთგაჩრილ ყელში... მაშინ კი, სამხედრო ვერტმფრენმა გორაკას თავზე რომ გადაიფრინა, კაცი საკუთარ ეზოში უსულოდ დაეცა... ეს იყო სიკვდილი უტყვიოდ, ანუ ომის მსხვერპლი, რომლის ვინაობა არც ერთ საბრძოლო სტატისტიკის ანალებში არ აღირიცხა... ახლა იმ ეზოში იშვიათად თუ მოხვდება კაცის ფეხი, ამიტომ გადავლილია ნებაზე მიშვებული სიმწვანით. მეზობლის ბიჭი, ვარა ბაბოს დროდადრო სოფლის მაღაზიაში საყიდლებზე რომ ესაქმება, იმ დღესაც თავის ცხენს უკაცებო სახლის ეზოში აბალახებდა.

ამირან ტალახაძე.

ჩემი სოფელი (აღაიანი)

აღაიანი

ჩემი დედა და მშობელი
ჩემი ლამაზი სოფელი,
ჩემი ლამაზი ბავშვობის
გამხსენებლ-მომგონებელი.
შარაგზა თავის ორღობით
ნაკადულები წკრიალით,
თებერვლის ქარი ძლიერი
მარტში გაშლილი იები.
თხოთის მთა,
მირიან მეფე,
ნინოის ღმერთის
დიდება,
ქრისტიანობის მიღება
ამ ადგილს უკავშირდება.
დიდი წარსულით თავისი
და ანტიკური მასალით,
ამაყობს ჩემი სოფელი
დიდ ბრძოლებ გადანატანი.

მდინარე ქსნის მარჯვენა სანაპიროსა და თხოთის მთას შორის არის სოფელი აღაიანი თავისი ულამაზესი ბაღ-ვენახებით და უფრო დიდი ისტორიული წარსულით.

აღაიანი პირველად მოხსენიებულია 1459 წ. საბუთში. იგი ვახუშტი ბატონიშვილს შეტანილი აქვს მუხრანის სოფელთა სიაში. წინაპართა გადმოცემით, მუხრან ბატონის ერთი შტო ცხოვრობდა აღაიანში, რომელსაც ერქვა სახელად "ფარემუზი", მისი საცხოვრებელი სახლი იყო აღაიანის 8-წლიანი სკოლა, შემდეგ კი საშუალო სკოლა. სამწუხაროდ, დღეს ეს შენობა დანგრეულია. გვიანდელ შუა საუკუნეებში აღაიანი მცხეთის საკათალიკოსოს კუთვნილი სოფელი ყოფილა. აღაიანის მიდამოებში 1929 წელს გათხარეს თიხის სარკოფაგი, რომელშიც აღმოჩნდა ოქროს სამკაული და ოქროს 2 მონეტა (რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ 312 წ. მოჭრილი სოლიდი და მისი მინაბაძი). ახ. წ. პირველ საუკუნეებში აღაიანის ტერიტორიაზე არსებობდა ქალაქი. 1974 წ. აღაიანში კვლავ აღმოჩნდა თიხის სარკოფაგები თავისი ოქროს ბეჭდებით, ყელსაბამებით, საყურეებით, მონეტებით, თიხის ჭურჭლით და სხვ. 1625 წელს აღაიანის ველზე მოხდა ბრძოლა კახელებსა და სპარსელებს შორის.

სოფლის ცენტრში დგას წმინდა გიორგის ეკლესია და სათოფურებიანი საბრძოლო კოშკი. ამ კოშკზე სოფელში არსებობს ასეთი ლეგენდა: მტრის ერთ-ერთი შემოსევის დროს ხალხი კოშკში ჩაიკეტა. ვიდრე მტერი მოსახვევიდან გამოვიდოდა, კოშკიდან ჩია დედაბერი გამოვიდა, შუა გზაზე ლობიოთი სავსე მდუღარე "ქვაბქოთანა" დადგა და ისევ მიიმალა. მტერი რომ მოვიდა და ნახა, რომ საჭმელი უცეცხლოდ დუღდა, შეშინდა, დაფრთხა და უკან გაბრუნდა.

აღაიანის სამხრეთით, თხოთის სერზე, წმინდა ნინოს ეკლესია (VII-VIII ს.) დგას. ლეონტი მროველის ცნობით, მეფე მირიანმა ამ ადგილას იხილა მზის დაბნელების სასწაული. შეშინებული მეფე შეევედრა კერპებს, მაგრამ არაფერი ეშველა. მაშინ მირიანს გაახსენდა წმინდა ნინოს ღმერთი, დაიჩოქა და შეევედრა: – ღმერთო, ნინოსაო! ოღონდ გამინათე ეს სიბნელე და თაყვანს ვცემ შენს ჯვარს და შენს მიერ მოვლინებულ ნინოსო. დაამთავრა თუ არა მეფემ ლოცვა, ქვეყანას ერთბაშად მოეფინა სინათლე. ამის შემდეგ იწამა მეფე მირიანმა ქრისტეს ჯვარი და ბრძანა თავისი ხალხის გაქრისტიანება.

წმინდა ნინოს ეკლესიიდან სამხრეთით იშლება მდინარე ქსნის ხეობის შესანიშნავი ხედი, დასავლეთით კი მტკვრის ხეობაა. სოფელში წმინდა ნინოს ზეიმს (დღეობას) 20 მაისს აღნიშნავენ (14 იანვრის ნაცვლად). არსებობს ლეგენდა, რომ 14 იანვარს ეკლესიაში მლოცველებს ბავშვი გაეყინათ, ამიტომ სოფელმა წმინდა ნინოს აღუთქვა, რომ მის დღესასწაულს 20 მაისს იზეიმებდა და ასეა დღესაც. სოფლის ერთ-ერთ მოედანს "მილხინე" ჰქვია. ადრე იქ, მწვანე მდელოზე ასწლოვანი მტირალა ტირიფები იდგა და წყარო ჩამოდიოდა. ეს ტირიფები წმინდა ნინოს "ნიშად" ითვლება. წინათ აქ ყოველ "ნინაობას" დიდი ლხინი, ცეკვა-თამაში და ჭიდაობა იმართებოდა. აქ მეზობელი სოფლებიდან ფალავნები მოდიოდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

თხოთის მთის გაგრძელებაზე, ქსნის ციხის მოპირდაპირე მხარეს, მდინარე ქსნის გამოღმა არის ღვთისმშობლის ეკლესია. ეკლესიას სქელი მუხის კარები ჰქონდა. მის კედლებზე ყავისფერი ლაქები შეიმჩნეოდა. მოხუცთა გადმოცემით, ერთ-ერთი ბრძოლის დროს ხალხმა ეკლესიას შეაფარა თავი, მაგრამ მტერმა მოახერხა შიგ შესვლა და იქვე ამოხოცა. ამიტომაც შემორჩა კედლებს სისხლის ლაქები. ნანახით განცდილი გრძნობები გამოვხატე ჩემს ლექსში "სისხლის ლაქები", ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში.

ჩვენმა პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თავის ერთ-ერთ ქადაგებაში აღნიშნა, რომ აღაიანი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს წმინდა ნინოს.

ხალხის სურვილია წმინდა ნინო დაარქვან სოფელს. ოფიციალური საბუთებით, მას ისევ აღაიანი ჰქვია.

"მე შენი მიწის ყველა მტკაველს ვეამბორები,
დედა ხარ ჩემი, სოფელო ჩემო,
მე მენატრება შენს ორღობეში,
ჩემი ბავშვობის ოცნების ჩერო".

ენციკლოპედია საქართველო, ტ.1. სოფელში არსებული თქმულებები და ლეგენდები.

შემდგენელი გულო ქენქაძე.

პირველობა მინი ფეხბურთში

1 სექტემბრიდან 18 სექტემბრამდე, კასპის საფეხბურთო სტადიონზე მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში, რომელშიც 22 გუნდი მონაწილეობდა. ნახევარფინალმა გამოავლინა მესამე ადგილის გამარჯვებული –სოფელ ქვემო ჭალის გუნდი. ფინალში კი ერთმანეთს კასპის გუნდები- "ცეესკა" და "ქეჩარუხი" შეხვდა, რომელშიც დამსახურებული გამარჯვება "ცეესკა"-მ მოიპოვა.

პირველ ადგილზე გასული კასპის "ცეესკა" 500 ლარით, მეორე ადგილზე გასული "ქეჩარუხი" 300 ლარით, ხოლო მესამე ადგილზე გასული ქვემო ჭალის გუნდი 200 ლარით დაჯილდოვდა. გამარჯვებულ გუნდს თასი, ფულადი ჯილდო, ხოლო საუკეთესო მცველს ლაშა სამნიაშვილს, საუკეთესო ბომბარდირს შმაგი შარიფაშვილს, საუკეთესო თავდამსხმელს გიორგი შაველაშვილს და საუკეთესო ფეხბურთელს უჩა ხიზანიშვილს ფასიანი საჩუქრები გადასცა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ავთანდილ გოგიაშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების

გაერთიანების დირექტორმა შოთა გოგიაშვილმა, ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლის დირექტორის მოადგილემ სოსო ბარნაბიშვილმა, მაჟორიტარი დეპუტატის დავით ონოფრიშვილის ბიუროს უფროსმა თემურ ხაბაძემ.

ფინალურ შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლორია, რომელმაც ფასიანი საჩუქარი საუკეთესო მეკარეს გიორგი ქურთაულს გადასცა. ტურნირის გამარჯვებულ გუნდს დამატებითი ფულადი ჯილდო გადასცა ინდ.მეწარმე ნუკრი ბახუაშვილმა.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა, მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური და მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება. ტურნირის მთავარი მსაჯი იყო ევგენი დადიანიძე. ტურნირის მიზანი, რომელიც წლებია ტრადიციად დამკვიდრდა მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებაა.

ქართული ჭიდაობა ხოვლეში

ხოვლეში ჩატარდა ვეტერანი სპორტსმენის, სახელოვანი მოჭიდავის ჯეირან ლელაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მეზობელი რაიონების უძლიერესი ფალავნები.

– ტურნირი გაიმართა ოთხ წონით კატეგორიაში, განაცხადა კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა შოთა გოგიაშვილმა, – საპრიზო ადგილებზე გასული მოჭიდავეებისათვის დაწესებული იყო შესაბამისი ჯილდო – 500, 300 და 200 ლარის ოდენობით, ხოლო მძიმე წონაში გამარჯვებული ფალავანისათვის – განსაკუთრებული პრიზი, ეს გახლდათ ჭედილა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მძიმე წონით კატეგორიაში (80 კგ.) მოასპარეზე სამივე ფალავანი იყო კასპის რაიონის წარმომადგენელი და მათ შორის პირველი ადგილი წილად ხვდა კასპელ კახა მამულაშვილს, მეორე ადგილი დაიკავა მეტეხელმა შმაგი შარიფაშვილმა, ხოლო მესამე ზემოხანდაკელმა ამირან იანვარაშვილმა.

უამრავი სტუმარი მოვიდა ქართული ჭიდაობის სანახავად ხოვლეში. ტურნირს ხელმძღვანელობდა საქართველოს ორგზის ფალავანი ოთარ ყურაშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

საგვარეულოს დღესასწაული

სამი წლის წინ, შემოდგომაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში დალოცა ბერიანიძეთა გვარი, მოგვიანებით დაიწერა საგვარეულოს მფარველის, ლომისის წმინდა გიორგის ხატი.

გვარის კურთხევის დროს შეიქმნა ლომისის წმინდა გიორგის კანონიკური ხატი. იგი გაწყობილია ოქროთი და მინანქრით, იწოდება მოძრავ ხატად და დაბრძანდება ბერიანიძეთა ოჯახებში მთელი საქართველოს მასშტაბით. აღნიშნული ხატის ანალოგი საგვარეულომ პატრიარქს მიართვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერიანიძეების საგვარეულომ მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარზე აღმართულ ოქროს ჯვრის ჩამოსხმაშიც მიიღო მონაწილეობა.

დაინერგა კიდევ ერთი ტრადიცია, ყოველწლიურად ბერიანიძეთა გვარი სხვადასხვა ტაძარს სწირავს დადიანეთის ტყის პანტის ხისაგან დამზადებულ წმინდა გიორგის ხატს. ხატი იწერება თურქეთში მოღვაწე ხატმწერის ალექსანდრე ბერიანიძის მიერ. შარშან, გორში ჩატარდა ბერიანიძეობა და გორიჯვრის წმინდა გიორგის ეკლესიაში მოხდა გვარის მფარველის ხატის შეწირვა.

2013 წელს, ამაღლება დღეს მლეთაში, ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ბერიანიძეების ინიციატივით, რომლებსაც შეუერთდნენ ქსნისა და არაგვის ხეობის სხვა გვარებიც, მოხდა ჯვრის აღმართვა. ჯვარი დამზადდა მხატვარ-მონუმენტალისტის ნიკოლოზ ბერიანიძის მიერ. წელსვე (7 სექტემბერს) კასპში აღინიშნა ბერიანიძეობის დღესასწაული და საგვარეულომ კასპის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარს შესწირა წმინდა გიორგის – ლომისის ხატი (დადიანეთის მფარველი). ხატი შექმნა ალექსანდრე ბერიანიძემ. საგვარეულოს დღესასწაული დაგეგმილია კახეთშიც. ასე აგრძელებს საგვარეულო დაწყებულ ტრადიციას მანამ, სანამ, მოძრავი ხატი დადიანეთში დაბრუნდება.

შეუცნობელი

მოფლოლბერი თუ ვუხცნერი

ვლამიანი ნიტოცხლის განმვლოსბაში მრავალი უცნაური, მოფლოლბერი თუ ვუხცნერი მოვლენის მოწმე ხლებს. უმეტეს შემთხვევაში ვრ ვიცით, ვის გვუზიარეთ ნანახი, ვლბალი იმის შიშით, რომ შეიძლებს ვრანცწოლრალ გაგვიგონ.

თუ ყოველლბალრთ მომცწლრე ვუხცნერი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენის მოგვაწოლთ ამ მოვლენის ამცხალერი მაცალ. მისი გაცნობის ლა შეცწავლის შემლეგ თუ იგი ნალინდრეცლ იჯნებს გაზეთის მყითხველლისთვის, გამოჯეუნლეებს ზეთ გზეთში რუბრიკით "შეუცნობელი". ნალჯილლების შემთხვევაში შეგვიძლია თჯვენ მიერ შემოთვალზებული წერილი გალაზეთ ეუბრალ "თენომენს" ლა შეცალბამცალ ალცალ ალცალ �

"მსოფლიო დასუფთავების" დღე

"მსოფლიო დასუფთავების" დღესთან დაკავშირებით 21 სექტემბერს კასპის მუნიციპალიტეტში გაიმართა აქცია.

საქართველოში დასუფთავების აქცია ჩატარდა პროექტის "დავასუფთაოთ საქართველო"-ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი "საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები /საქართველო", მდგრადი განვითარების კავშირი "ეკოხედვა" და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი "ორქისი", შვედეთის საერთაშორისო განვითარების ფინანსური უზრუნველყოფით და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხარდაჭერით.

დასუფთავების აქცია კასპში ორგანიზებულად წარიმართა... ენთუზიასტთა რამდენიმე ჯგუფი მუშაობდა, ქალაქის გასასვლელებში, სხვადასხვა ქუჩაზე ხალხმრავლობა იყო, უფრო ახალგაზრდები სჭარბობდნენ. მუშაობის დაწყებამდე აქციის მონაწილეებს სპეციალური ხელთათმანები და პოლიეთილენის ტომრები დაურიგდათ, ნაგვის ნარჩენები და ათასგვარი ხარახურა "კეთილმოწყობის" სამსახურის მუშებს სპეციალური ნაგავმზიდით ნაგავსაყრელზე მიჰქონდათ...

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქს სისტემატურად ასუფთავებს "კეთილმოწყობის" სამსახური, ბევრ უბანსა და ქუჩაზე ადგილი აქვს ნარჩენების უდიერად დაყრის შემთხვევებს, ქუჩების დანაგვიანება არ უნდა ხდებოდეს... – დღევანდელი ღონისძიება არა მარტო საერთაშორისო აქციაში მონაწილეობის გამოძახილია, არამედ, ეს გახლავთ საკუთარ ქალაქზე ზრუნვის დიდი სურვილიც, – განაცხადა დასუფთავების აქციაზე მყოფმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, – მან მადლობა გადაუხადა აქციის მონაწილეებს აქტიურობისათვის, განსაკუთრებით კი, სკოლების მოსწავლეები შეაქო.

"მსოფლიო დასუფთავების " დღესთან დაკავშირებული აქცია კასპის მუნიციპალიტეტში უკვე მესამედ გაიმართა, რომელსაც აქტიურად დაუჭირა მხარი ადგილობრივმა თვითმმართველობამ.

გამოიწერეთ "ახალი გაზეთი" და გაზრდით ჩვენი მკითხველი!

შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის სპეციალურ საბავშვო დამატებაში - „ეიბუში"

მკითხველს შეუძლია მოგვაწოდოს სავტორო კროსვორდები, შემეცნებით-გასართობი მასალები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე – კასპი, საკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 0371222576.

ხსოვნა

ბადრი ბასიაშვილი

24 სექტემბერი შენი დაბადების დღეა, წელს 50 წელი შეგისრულდებოდა. ჩემო შვილო, ვერ ვძლებთ უშენოდ, გვიჭირს შენს გარეშე ცხოვრება, სულ შენზე ვფიქრობთ. სიტყვებს ვერ ვპოულობთ, რომ გამოვხატოთ ჩვენი გულისტკივილი ჩვენო საყვარელო, ნიჭიერო და კეთილო ადამიანო. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი ლამაზი და უბოროტო სული!

დედა, მეუღლე ლია, შვილები სოსო, დათა, და ნანა შვილებით, ძმა დავითი ოჯახით.

მადლობა

მადლობას მოვახსენებთ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელობას, ორგანიზაციებს, ყველა უწყებასა და ოჯახს, ვინც გაიზიარა ჩვენი ოჯახის მწუხარება ოსიკო თავშავაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარი გამოგვიცხადა.

ოსიკო თავშავაძის ოჯახი.

ჩვენო საყვარელო პატარებო!

გასული წლიდან მოყოლებული სულ ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სურთ!) საუბარი.

თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ საყვარელ ზღაპრის თუ მულტფილმის გმირებზე, მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, ნყალქვეშა სასახლეებსა და

ალპებში "დამალულ" საგანძურზე... ნინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ ჩვენი გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, ყურადღებით:

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მოგრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საყვარელ რუბრიკაში "კეხურა".

გამოგვიგზავნეთ!

,,ახალი განთიადი,, იძიებს განიცდირიგლი ცოცხალიებს ჩვიოინგ ცხგაზეთი თოდო-მაცდანგ შეცდომელოდ. თხოვნით მიგმართავთ თანგრიანელიებს - დაცდოვეთ თქვენი ყველი ჩვენ მაცდანგში! გამოგვიგზავნეთ განიცდირიგლი და ცხალიგლი თოდოები!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,ქოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი საკაკაძის ქ. № 68

ტელეფონი 22-25-76